მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ნა, IV სადარბ. VII სართ.
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№62, თბილისი, 0162
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

№ _ **04/02-72**_____

"_16_" _ივლისი___ 2007

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ცხაკაიას

ბატონო გიორგი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის და "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) მე-2 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, გთხოვთ, ჩაგვრთოთ ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებზე სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში.

- შპს "ინგეო ტრეიდი" – მინერალური ნედლეულის გამამდიდრებელი ფაბრიკა;
- შპს "ჯეოსთილი" – მეტალურგიული საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია;
- შპს "არომატი" – მინერალური ნედლეულის – მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო;
- შპს "ანგლო მესხეთი" – კახარეთის მცირე ჰიდროელექტროსადგური;
- შპს "ბურჯი" – ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციუნირება;
- ასოციაცია "ატუ" – ასფალტობეტონის ქარხანა;
- შპს "ენტო" – მცირე ჰიდროელექტროსადგურ მისაქციელზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;
- ინდ. მეწარმე "ზურაბ გოგრიჭიანი" – მინერალური ნედლეულის გადამუშავების – გაჯის საამქრო;
- ინდ. მეწარმე "ივანე გავაშელაშვილი" – მინერალური ნედლეულის გადამუშავების – გაჯის საამქრო.

ასევე, მოგახსენებთ, რომ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ს 2007 წლის 12 ივლისის № 134 გამოცემაში გამოქვეყნდა ცნობა "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" მიერ თბილისში, ნავთლუღის რაიონში, ქიზიყის ქუჩაზე ახალი ნავთობის ტერმინალის მშენებლობის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, ჩაგვრთოთ ამ საქმიანობაზეც სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი